№1422 2015 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

შპს „RMG Gold“-ისათვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და 27^4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

1. სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების განხორციელების მიზნით, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისის სატყეო უბანში არსებულ მიწის ფართობებზე (847 642 კვ.მ) სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის (ხე-მცენარეების მოჭრის უფლებით) ვადა შპს „RMG Gold“-ს განესაზღვროს 2020 წლის პირველ იანვრამდე.

2. სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის, საკომპენსაციო ღონისძიების სახით, შპს „RMG Gold“-მა სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის ბოლნისის სატყეო უბნის ფახრალოს სატყეოს №22 კვარტლის №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9 ლიტერებში (№9 ლიტერის საერთო ფართობიდან – 3 ჰა) სპეციალური დანიშნულებით სარგებლობას დაქვემდებარებულ ტოლფას ფართობზე (847 642 კვ.მ) 2015 წლის 15 ნოემბრამდე განახორციელოს ტყის აღდგენის ღონისძიება – ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა (შეღობვით).

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**